„ამერიკული ოცნება“ როგორც ამერიკანიზმი და მისი ანალოგები ქართულ, ბრიტანულ და ესპანურ პოლიტიკურ დისკურსებში

იზოლდა არზუმანიდუ

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკა (ევროპული-რუსული-აღმოსავლური)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე ლაფაჩიშვილი, მოწვეული მასწავლებელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

იზოლდა არზუმანიდუ

27.06.2022

აბსტრაქტი

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ამერიკას სჭირდებოდა იდეა, რომლის ირგვლივაც გაერთიანდებოდა სხვადასხვა ქვეყნებიდან მოსული იმიგრანტებისგან შემდგარი მოსახლეობა. ეს იყო ახალი მიწის მითი და ოცნება.

„ამერიკული ოცნების“ რწმენათა სისტემამ ამერიკის სახელმწიფოს გამორჩეული იდეა განსაზღვრა, რაც უპირველესად კეთილდღეობის თანაბარ შესაძლებლობებს გულისხმობს.

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ვიკვლევთ „ამერიკულ ოცნებას“, როგორც ამერიკანიზმს და პარალელურად ვაანალიზებთ მის ქართულ, ბრიტანულ და ესპანურ სემანტიკურ ანალოგებს.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია ანალიტიკური, შეპირისპირებითი და დედუქციური მეთოდები იმის დასადგენად, თუ რამდენად ჰგავს ეს ანალოგები ერთმანეთს სემანტიკით და პრაგმატიკულად და რამდენად არიან მორგებულნი მიმღები ქვეყნის საჭიროებებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ამერიკანიზმები, ამერიკული ოცნება, პოლიტიკური დისკურსი, ქართული ოცნება, ბრიტანული ოცნება, ესპანური ოცნება

Abstract

After the United States of America gained independence America needed an idea that would unite the population made up of immigrants from different countries. It was a myth and a dream of a new land.

The belief system of the "American Dream" defined the distinctive idea of the American state, which primarily refers to equal opportunities for prosperity.

In the framework of the master's thesis, we study the "American Dream" as Americanism and at the same time, we analyze its Georgian, British and Spanish semantic analogues.

Analytical, contrast, and deductive methods are used to determine how similar these analogues are to each other semantically and pragmatically, how well they meet the needs of the recipient countries.

Key words: Americanisms, American Dream, Political Discourse, Georgian Dream, British Dream, Spanish Dream.

მადლობა

უპირველესად, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ მასწავლებელს, ქალბატონ სალომე ლაფაჩიშვილს, რომლის სასწავლო კურსის - *პოლიტიკური ტექსტების ლინგვისტური ანალიზის* გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა მოცემული კვლევის ინტერესი, აკადემიური კვლევა და სამაგისტრო ნაშრომის შექმნა.

ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის „გამოყენებითი უცხო ენებისა და საერთაშორისო მოლაპარაკებების/ეკონომიკის“ მიმართულების თითოეულ თანამშრომელსა და ლექტორს, რომლებიც მუდმივად ცდილობდნენ შემოეთავაზებინათ მრავალფეროვანი და საინტერესო კურსები, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ საკუთარ საქმიანობას და მუდამ ითვალისწინებდნენ სტუდენტების ინტერესებს. მითუმეტეს აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო კურსის გავლა მთლიანად დისტანციურად მოგვიწია კოვიდ-სიტუაციიდან გამომდინარე, რასაც მიმართულების მხრიდან საკმაოდ სწრაფი და ეფექტური ნაბიჯების გადადგმა მოჰყვა, რათა მორგებოდა დისტანციურ ფორმატს და მაქსიმალურად დაგვხმარებოდნენ კურსების სრულყოფილად ათვისებაში. აქვე გამოვთქვამ სინანულს, რომ მიმართულება მილევადია.

და ბოლოს, უდიდეს მადლობას ვუხდი ჩემი ოჯახის წევრებს, რომლებიც გაგებით ეკიდებოდნენ ჩემს კვლევით საქმიანობას, გვერდში მედგნენ და მაქსიმალურად მიწყობდნენ ხელს შესაბამისი გარემოს შექმნით.